„ვამტკიცებ"

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია

----

25 თებერვალი 2025 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სალიცენზიო შეჯიბრება 2 სარეიტინგო ტურნირებისთვის 2009-2010 წლებში დაბადებულთა შორის (დასავლეთ საქართველო)

2025 წელი
12 მარტი
ზესტაფონი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ძიუდოისტთა შერჩევა უმცროს ჭაბუკთა სარეიტინგო ტურნირებისთვის;

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2009-2010 წელს დაბადებული ვაჟი ძიუდოისტები დასავლეთ საქართველოდან, რომელთაც ჩააბარეს წინასწარი გამოცდები ძიუდოს საწყისებში და რომელთაც არ აქვთ სარეიტინგო ტურნირებში მონაწილეობის ლიცენზია. გამოცდაჩაუბარებელი ძიუდოისტები შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან.
- სალიცენზიო შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის აუცილებელია პირადმა მწვრთნელებმა საკუთარი მოსწავლეების საწევრო გადასახადი, თითოეულ ძიუდოისტზე 100 (ასი) ლარი, ჩარიცხონ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის საბანკო ანგარიშზე და შესაბამისი სია წარმოადგინონ (ან გამოაგზავნონ ელექტრონულად gjf.registr@gmail.com) ფედერაციაში. რის შემდეგაც შესაბამის ძიუდოისტებს უფლება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ ძიუდოს ფედერაციის მიერ წლის განმავლობაში ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში (შეჯიბრება, სემინარი, შეკრება, გამოცდა და სხვ.). დამატებითი ინფორმაცია დოკუმენტაციის სახით შეგიძლიათ იხილოთ დანართში.

- დებულება საწევროს შესახებ
  კალენდარი
  საწევროს სარეგისტრაციო ფორმა
  საბანკო ანგარიში - საქართველოს ბანკი.
  მიმღების დასახელება - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია.
  ბანკის კოდი - **BAGAGE22**
  მიმღების ანგარიშის ნომერი - **GE55BG0000000121179301**

IV. შეჯიბრების კენჭისყრა, ადგილი, დრო და რეგისტრაცია

- შეჯიბრება ჩატარდება 12 მარტს ზესტაფონში, სპორტული სკოლის დარბაზში, რუსთაველის 8.
- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის შემდეგ.
- ჩამოსვლის დღე ტურნირზე – 11 მარტი, წასვლის დღე – 13 მარტი.
  შეჯიბრების დასაწყისი 10:00* (შესაძლებელია ცვლილება).

რეგისტრაცია:

- პირადმა მწვრთნელებმა საკუთარი ძიუდოისტები უნდა დაარეგისტრირონ ელექტრონულად 9 მარტამდე.
- ძიუდოისტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან (**http://gjf.ge/geo/calendar/georgia**) სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით. კოდი - 1234
- 10 მარტს ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდება მონაწილეთა სია. მწვრთნელები ვალდებულნი არიან გადაამოწმონ საკუთარი ძიუდოისტები და უზუსტობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე. დამამშვიდებელ წრეში იმოქმედებს „ოქროს ქულის“ წესი.
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 8 წონით კატეგორიაში:
- -46კგ, 50კგ, -55კგ, -60კგ, -66კგ, -73კგ, -81კგ, +81კგ;

VI. აწონვა

აწონვები ჩატარდება შეჯიბრების წინა დღეს.
არაოფიციალური 16:30 – 17:00 საათამდე;
ოფიციალური 17:00 – 18:00 საათამდე;

VII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:
საკონტაქტო პირი - ზურაბ უსუფაშვილი 577994407, ზაზა მახათაძე 599925662.
ფინანსური საკითხები - ანა წიწრიაშვილი 551502244.

P.S.

- ძიუდოისტებისთვის შეჯიბრებაზე აუცილებელია თეთრი და ლურჯი ფერის კიმონოს ქონა.
- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- აკრძალულია ძიუდოისტებისთვის წონის კლება წონით კატეგორიაში მოსახვედრად. ძიუდოისტმა შეიძლება დაიკლოს მაქსიმუმ 1 (ერთი) კილოგრამი. ძიუდოს ფედერაციის მხრიდან მკაცრად იქნება გაკონტროლებული მონაწილეთა წონები და შესაძლებელია კონტროლი შეჯიბრების მიმდინარეობის დროსაც. იმ მწვრთნელთა მიმართ, რომელთა ძიუდოისტებიც დაარღვევენ წონის კლების დებულებას, ფედერაცია გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს.

ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ნოზაძე